ქობულეთის გამგეობის მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამა

2010 წლისათვის
ზომის ერთეული ერთი ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

ომის მონაწილეებზე და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი

დაწყება - 1 იანვარი 2010 წ.

დამთავრება - 31 დეკემბერი2010 წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

15 600 (თხუთმეტიათას ექვსასი) ლარი

თანხა სიტყვიერად

მ.შ. საანგარიშო წლის ბიუჯეტი 15 600 ლარი

1 კვარტალი 2 210 ლარი; 2 კვარტალი 6 620 ლარი

3 კვარტალი 4 770 ლარი; 4 კვარტალი 2 000 ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ა) ძირითადი --- ადგილობრივი ბიუჯეტი 15 600 ლარი

ბ) დამატებითი ---------- ---------- ლარი

თანხის ოდენობა

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანოსბის სამსახური

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

პროგრამის მიზანია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა უკდავყოფის და სადღესასწაულო დღეების უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა უკდავყოფას, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას. პროგრამას კანონმდებლობით დადგენილი წესით, არეგულირებს 2000 წლის საქართველოს კანონის „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და ასევე 1995 წლის საქართველოს კანონი „ომისა და სამხედრო

ძალების ვეტერანების შესახებ“ მუხლი 14, პუნქტი „გ“, მუხლი 15, პუნქტი „გ“, მუხლი 16, პუნქტი „გ“, მუხლი 17, პუნქტი „ბ“.

საქართველოს კანონის “სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფის შესახებ“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტისა და „ომისა და სამხედრო ძალების 1995 წლის კანონის“ 21 მუხლის თანახმად ოჯახზე გამოიყოფა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 250 ლარის ოდენობით დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

6. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები
ომის ინვალიდების, ომში დაღუპულთა ოჯახების, ომების მონაწილეების, მათთან გათანაბრებული პირების და სამხედრო ძალების ვეტერანების სოციალური დაცვა

7. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია

№	მომხმარებელთა კატეგორია	პროგრამით გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	ომის ინვალიდები, ომში და-ღუპულთა ოჯახები ომების მონაწილეები, მათთან გათა-ნაბრებული პირები და სამ-ხედრო ძალების ვეტერანები	830	
	ს უ ლ :	830	

8. სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	უკვდავყოფის და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება	-	X	–	–	X	-	-	-	X	-	-	-
2	გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ფარგლებში გასაწევი ხარჯები

16 თებერვალი -- სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლებში მონაწილეთა დღე,

9 მაისი --გამარჯვების დღე,

26 მაისი-- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე,

27 სექტემბერი --გლოვის დღე, მატერიალური დახმარების გაცემა და მემორიალის შემკობა;

გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საჭირო ხარჯი (ლარი)
1	II მსოფლიო ომის მონაწილეებზე 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	კაცი	32	100	**3200**
2	II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე 9 მაისთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	კაცი	12	50	**600**
3	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულთა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე 27 სექტემბერთან დაკავშირებით მატერიალური დახმარების გაცემა	კაცი	23	100	**2300**
4	მემორიალის შემკობა: 16 თებერვალი, 9 მაისი, 26 მაისი, 27 სექტემბერი	ცალი	4	212	**850**
5	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალთან მუდმივი ცეცხლისათვი ბუნებრივი აირის გადასახადი	კუბ.მ	197	0.76	**150**
6	გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა	ოჯახი	35	250	**8500**
სულ					**15600**

10. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შესყიდვები განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.